137
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 215
ოქტომბრის 10, ხუთშაბათი 1902 წ.
1877

ივერია

№ 215
ოქტომბრის 10, ხუთშაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ ოკდომბრიდან წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია“

ღირს **სამ მანეთად** და **ათ შაურად** (3 მ. 50 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათუმში: მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ბალახანაში:—ალექსანდრე ალხაზიშვილთან.
ხონში:—ნესტორ წერეთლისა და ს. ბახტაძის წიგნის მაღაზიაში.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
გორში: ანტონ კასრაძესთან.
განჯაში: ა. ი. ალხაზიშვილთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ქელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

მთავრობის ნებართვით

სამს ღვინობისთვიდგან გაიხსნა **ახალი**—მეთოთხმეტე—**აფთიაქი** პროვიზორის ნიკოლოოზ ივანეს ძის **გაზიეროვისა**. რიყის ქუჩა, სახლი № 26.

(6—431—4)

ტფილისის მოურავის

თანამდებობის აღმასრულებელი

ამით აცხადებს ბბ-ნთ ამომრჩეველთა საყურადღებოდ, რომ 13 ოკდომბერს 1902 წელს, კვირას, დილის 10 საითზედ, დანიშნულია

დამატებითი არჩევნები

ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა ოთხის წლის ვადით (1902—1906 წწ.) **მესამე საარჩევნო უბნისათვის** კიდევ ერთი ხმოსნის და არა ნაკლებ ექვსის კანდიდატის ამოსარჩევად; და ამავე დღის 5 საათზედ მეორე საარჩევნო უბნისათვის არა ნაკლებ ორის კანდიდატისა.

დამატებითი არჩევნები მოხდება საბჭოს დარბაზში. შესავალი ველიამინოვის ქუჩიდგან. ამომრჩეველთ კეთილ-ინებონ და იქონიონ თან შესასვლელი ბილეთები, რომელიც მიცემული ჰქონდათ ამ წლის სეკდემბრის 26 და 29-ს საარჩევანო კრებაზედ შესასვლელად. იმათ-კი, რომელთაც ასეთი შესასვლელი ბილეთები არ აუღიათ, ნება აქვთ მიიღონ გამგეობის კანცელარიაში 13 ოკდომბრამდე და თვით 13 ოკდომბერსაც. არჩევნების დღეს დაედგმით ყუთი [illegible] ყველა იმათ, ვინც გამოაცხადეს თვისი თანხმობა კენჭის ყრაზედ მეორე და მესამე საარჩევნო უბნებში. იმათ-კი, ვისაც კენჭი არ უყრია, კეთილ-ინებონ და წერილით აუწყონ ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელს, უკეთუ სურთ კენჭი იყარონ ხმოსნობაზედ.

(3—6.—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან

ტფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ 10-ს ოკდომბერს, დღისით 1-ს საათზედ, გაიხსნება ქალაქის ფიცრული საავადმყოფო, 80 კაცისთვის. საავადმყოფოში წლოვანების და სქესის განურჩევლად მიიღება ყველა ავადმყოფი: ყვავილით, წითელათი, ხუნაგით, ქუნთრუშით, სახადით მხოლოდ მამრნი. მოვლა-შენახვა უფასოა. მიღება ყოველთვის შეიძლება. ავადმყოფთა ნახვა შეიძლება **კვირაობით, სამშაბათობით და პარასკეობით** 2—4 საათამდე. ძუძუ მწოვარ ბავშვებს 4 წლისაზე ნაკლებს მიიღებენ დედებთან ერთად, თუ ამას საავადმყოფოს ადმინისტრაცია საჭიროდ დაინახავს. ოთხი წლისაზედ მეტის ხნის ბავშვებს მიიღებენ უდედოდ. მშობლებს ნება ეძლევათ, თუ მოისურვებენ, მიიწვიონ თავის ხარჯით საავადმყოფოში განსაკუთრებულის მოვლისათვის მოწყალე დანი, რომელთა სასარგებლოდ უნდა გადიხადონ დღეში 40 კაპ., გადამდები სენით ავადმყოფთა მოსაყვანად სადეზინფექციო კამერასთან არის განსაკუთრებული ეტლი. ტელეფონი 172. ავადმყოფთა მოყვანა უფასოა. საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, ახალ ტროიცკის მოსახლეობა.

(3—6.—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ბედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.
ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

მ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: 9—10.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

დ. ა. ბედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 9—10 ს.

ზრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კრაოტებით მან. 5 მანეთამდე.

(წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, ნერვებისა და შინაგანის ავადმყოფისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტეპარია) შინაგანისა, ვენერიულ და კანის ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

გ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон.

(წლ.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამოობით 5—7-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.

(წლ.)

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დე.

წლ.

№ 4.

ტელეფონი 617.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს 10 ოკდომბერს, 1902 წ.

ნუცა ჩხეიძის საგასტროლოდ

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ორი პიესა:

I

უბედური ნაბიჭვი

დრამა 3 მოქ. კარეევისა, თარგ. შ. დადიანისა.

II

კვალ და კვალ

მხიარული კომედია 3 მოქმედებად.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რონელი, ჩხეიძე, ჩერქეზიშვილისა, ბ-ნნი: დ. აწყურელი, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, კ. მესხი, ლანდი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი და სხვანი.

ადგილების ფასი: ლოჟები 5 მანეთიდან 10 მან.-დე, პარტერი 70 კ.-დგან 3 მ.-დე, ამფითეატრი 80 კ.-დან 1 მ. 50 კ.-მდე, გალერეია 25 კ.-დან 45 კ.-მდე. შეგირდებისათვის ადგილები 60 კაპ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად: „ლანდი“, „მუშაკი და ნებიერი“, „უბედურს ვარსკვლავზე“

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

თეატრის გამგეობა სთხოვს მაყურებელთ წარმოდგენის დროს მსახიობთ ნუ გამოუძახებენ ხოლმე თავის დასაკვრელად.

ტფილისი

◆ დღეს, 10 ოკდომბერს, სამოსამართლო პალატის სისხლის საქმეთა 1-ლ დეპარტამენტში დანიშნულია საქმე ქ-ნ კოსაკოვსკის მკვლელისა.

◆ დროებითი განყოფილება კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლოსი გენერალ-მაიორის ვოევოდსკის თავმჯდომარეობით ოცს ამა ოკდომბერს მიემგზავრება ყარსსა, ალექსანდროპოლს და ერევანს, სადაც განსახილველად აქვთ დანიშნული ორმოცი საქმე.

◆ დროებითი განყოფილება იმავე სასამართლოსი გენერალ-მაიორის ვოლკოვის თავმჯდომარეობით პირველს მომავალს ნოემბერს მიემგზავრება გროზნასა და კავკავში. განსახილველად აქვთ ოცი საქმე.

◆ 6 ოკდომბერს შესდგა კრება მცხეთა-ტფილისის ამხანაგობისა, რომელსაც დაესწრო საკმაო რიცხვი წევრთა კრებამ დაადგინა: ამოირჩიოს კომისია, და დაევალოს ამ ახლო მომავალში გამოჰნახოს მცხეთაში შესაძენად მამული, გამოიკვლიოს ყოველ მხრივ და დაწვრილებითი მოხსენება წარუდგინოს მომავალს კრებას. კომისიაში მოჰყვნენ: ი. კ. რაზმაძე, მღვდელი მაჭარაშვილი და სამსონ წერეთელი. ამ კრებაზედვე იყო ამორჩეული სარევიზიო კომისია, რომელშიაც მოჰყვნენ იოსებ რაზმაძე, როტმისტრი ბორის ესაძე და მღვდელი მამა სიმონოვი. დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ მცხეთა-ტფილისის ამხანაგობა ჯერ-ჯერობით ძრიელ მუყაითად ეკიდება ამ სიმპატიურს საქმეს და ძრიელ ბლომადაც შეუძენია წევრნი.

◆ გუშინდელს ნომერში უკვე მოხსენებული გვქონდა, რომ 6-ს ამ ოკტომბერს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. დ. ზ. მელიქიშვილი ეწვია წინამძღვარიანთ კარის სამეურნეო სასოფლო სკოლასაო. მარშალმა გულმოდგინეთ დაათვალიერა სკოლის ყველა შენობანი, ეკკლესია, კლასები, მუზეი, სახელოსნო, სარდაფი, საწნახელი, სადგური შაგირდებისა, მასწავლებლების სადგომები, გაშინჯა დაწვრილებით მოწყობილება და გამართულობა მათი, ფერმა, მოისმინა სკოლის მართველისაგან პასუხი იმისი, რაც იკითხა. მარშალმა გამოსცადა მოსწავლენი, ამუშავა იგინი სახელოსნოსა და ფერმაში და ჩასწერა თავისი შთაბეჭდილება სკოლის წიგნში ამ სიტყვებით:

„სიტყვით ვერ გამოვთქვამ იმ დიდ სიამოვნებას, რომელიც ვიგრძენი პირველ ჩემის ნახვით სკოლისა; არა მდიდრული მოწყობილება სკოლისა, რომელიც უახლოვდება სოფლის მკვიდრთა საჭიროებას, პრაქტიკულად დაყენებული საქმე, შეგნებული პასუხი მოსწავლეთა, ამტკიცებდა მათს ცოდნას და შეგნებას ყველა მეურნეობის დარგისასა. ამაზედ მეტი აღარც-კია ჩვენთვის სასურველი და საჭირო.

მე, როგორც მარშალი თავად-აზნაურობისა, ვისურვებ უფრო მეტს წარმატებას სკოლისათვის პატივცემულის ი. ი. ძის წინამძღვარიღვილის მხნეობით და შრომით დაარსებულს. ამისთანა სასწავლებელი ბევრი რომ იყოს ჩვენს ქვეყანაში, მაშინ იქნება ჩვენმა სამშობლომ დააღწიოს თავი ეხლანდელ გაჭირებულ ეკონომიურ მდგომარეობას“.

◆ შაბათს, 12 ოკდომბერს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში დანიშნულია იმ კომისიის წევრთა კრება, რომელსაც დავალებული აქვს კავკასიაში მარცვლეულობისა და ხორბლეულობის ვაჭრობის უკედ მოწყობა.

◆ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას პეტერბურგში მეურნეთა კრებაზედ დასასწრებლად დაუნიშნავს საქარის ამერიკულ ვაზების სანერგეს გამგე და წევრი კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა აგრონომი ვ. სტაროსელსკი.

◆ ქალაქის სასარგებლოდ უკვე გაიწერა სასტუმროებზედ გარდასახადი; მომეტებული გარდასახადი შეაწერეს ვეტცელის სასტუმროს სახელდობრ ათასი მანეთი.

◆ ხვალ, 11 დეკემბერს, დანიშნულია კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება; ამ კრებაზედ გადასწყდება, საროდიოთ უნდა გაიგზავნოს მათ მიერ დანიშნული წევრი პეტერბურგში მეურნეთა კრებაზედ მონაწილეობის მისაღებად; მეურნეთა კრება უნდა მოჰხდეს იქ მინისტრის თანაშემწის ბ-ნ სტევენის თავმჯდომარეობით. კრებამ უნდა განიხილონ საეკკლესიო ღვინის გაუმჯობესების შესახები სხვა-და-სხვა საქმე.

◆ დღეს ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია შეერთებული კრება ქალაქის გამგეობისა და სკოლის აღმასრულებელ კომისიის წევრთა. ამ კრებაზედ მიწვეულნი არიან ხმოსანი იურისტებიც, რომელთაც დავალებული აქვთ წარმოსთქვან თავიანთი აზრი სამოსწავლო კომიტეტის აღმასრულებელ კომისსიად გარდაქმნის შესახებ.

◆ გზათა მინისტრი, თავ. ხილკოვი, გუშინ მეორედ ლაესწრო სათავად-აზნაურო თეატრში თავ. წერეთლის ოპერის დასის წარმოდგენას; მინისტრმა მოისურვა წერეთლის გაცნობა. წერეთელი მაშინვე წარუდგინეს მინისტრს.

◆ გზათა მინისტრი თავ. ხილკოვი, გუშინწინ, წარმოდგენის შემდეგ, საგანგებო მატარებლით გაემგზავრა მცხეთას, სადაც იგი გაათევდა ღამეს და დილით სამხედრო გზით გაემგზავრებოდა რუსეთს.

◆ ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლათა ინსპექტორი ამ დღეებში შეუდგა ქალაქის პირველ დასაწყის სკოლათა ბიბლიოთეკების რევიზიას; ამ სამკითხველოებში აღკრძალული იქნება ის წიგნები, რომლებიც არ არიან აღნიშნულნი საერო განათლების მინისტრის მიერ გამოცემულ წიგნთა სიაში.

◆ გუშინწინ მოჰხდა შეერთებული კრება ქალაქის საბჭოსა და იმ კომისიის წევრთა, რომელსაც დავალებული აქვს, მოაწყოს ქალაქის ხორცის დუქნები. ამ კრების ამბავს მკითხველებს ხვალ ვაუწყებთ.

◆ ტფილისის სასანიტარო საექიმო ინსპექტორმა მოახდინა განკარგულება, რომ გარდა მეორესა და პირველ განყოფილებისა ექიმები უფასოდ დადიოდნენ სახლებში ღარიბ ავადმყოფთა სამკურნალოდ.

◆ აი როგორ მიმდინარეობს ქალაქის თვითმმართველობაში საქმეთ-წარმოება: წესით ყოველ თხოვნას უნდა ეკრას ერთი მარკა,—ხოლო ერთს მოხელეს ულია ორ-ორი ოთხ აბაზიანი მარკა. როცა მისი უკანონო ქცევა აღმოუჩენია ამ მოხელის უფროსს, ერთს ქალაქის თვით-მმართველობის გავლენიან მოღვაწეს უთხოვნია, არ შეიძლება დათხოვნის მაგივრად ეგ მოხელე რომელსამე სხვა განყოფილებაში გადავიყვანოთო. არ ვიცით, შესრულა თუ არა უფროსმა ასეთი უკანონო თხოვნა გავლენიანის მოღვაწისა.

◆ ხმოსან იურისტებს: ჩემესოვს, შევალიეს და ქალანთარს დავალებული აქვთ თავიანთი მოსაზრება წარუდგინონ შეერთებულ სასწავლებელთა კომისიის და გამგეობის წევრთა კრებას იმის შესახებ, თუ რამდენად შესაძ-

ლებელია იურიდიულად სამოსწავლებლო კომიტეტის გარდაქმნა სამასწავლებლო კომისიად ან რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს კომიტეტის კომისიად გარდაქმნას; ამ საგანზედ მოსაზრება ხმოსან იურისტებმა უნდა წარუდგინონ დღეს ზემოხსენებულ წევრთა შეერთებულ კრებას.

◆ ტფილისის ვაჭართა საზოგადოების კრება დანიშნულია 20 ოკდომბრისათვის.

◆ წელს შესრულდა 25 წელიწადი მას აქეთ, რაც ტფილისის ვაჭართა უფროსი ბ-ნი დავიდოვი გამოვიდა საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზედ. ტფილისის ვაჭართა საზოგადოებამ, მოისურვა რა ეს დღე შესაფერად იდღესასწაულოს, ამოირჩია კომისია, რომელსაც დაავალა შეედგინა პროგრამა დღესასწაულისა; კომისიას სხვათა შორის გადაუწყვეტია, აღძრას შუამდგომლობა ფინანსთა სამინისტროს წინაშე, რომ მან ნება დართოს ტფილისის საკომერციო სავაჭრო სკოლაში დაარსოს ორი სტიპენდია დავიდოვის სახელობაზედ, რისთვისაც ტფილისის ვაჭართა საზოგადოება კისრულობს ყოველ-წლივ ოც-ოცი თუმანი იხადოს.

◆ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს აღუძრავს შუამდგომლობა კავკასიის მთავარ-მართებლის წინაშე, რომ საზოგადოებას ნება მიეცეს დანიშნოს ქართლის მემამულეთა კრება ქ. გორში, თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითაშვილისა და გ. დ. ჟურულის თავმჯდომარეობით და კახეთში—კახეთის მემამულეთა—ქ. თელავში თთ. ჩოლოყაშვილისა და ა. ვახვახიშვილის თავმჯდომარეობით. კრებამ უნდა გამოიკვლიოს მემამულეთა გაჭირვება და საჭიროებანი.

◆ ამ ჟამად ტფილისის ობსერვატორიის ადმინისტრაციას გაცხარებული მუშაობა აქვს. იგი აახლებს ამ ორის კვირის წინად ცეცხლისგან დამწვარს ობსერვატორიის შენობას; ამასთანავე სამეცნიერო აკადემიას მოუთხოვია ობსერვატორიის ადმინისტრაციისაგან დაწვრილებითი სია, ცეცხლის დროს ზარალისა და ხარჯთ-აღრიცხვა იმ ახლად ასაგებ შენობათა, რასაც ეხლა აშენებს.

◆ ქალაქის გამგეობაში შეიტანეს სასტუმროს პატრონებმა საჩივარი იმის შესახებ, რომ ამ ბოლოს დროს ბევრი ქირაობს სახლებს და თითო ოთახობით აქირავებს მოხელე ხალხზედაო; ამის გამო ჩვენ, როგორც ხარჯის მძლეველნი, გთხოვთ ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოთ და ან ხარჯი შეაწეროთ ამისთანაებს და ან მთლად აღეკრძალოთ იმათ ოთახების გაქირავებაო. ქალაქის გამგეობის წევრმა ბ-ნმა ნ. პ. კოკჩაევმა სავაჭრო-სამეურნეო ზედამხედველს ბ-ნს ბაბოვს დაავალა, ამ ცოტას ხანში შეჰკრიბე ცნობანი ყველა იმათ შესახებ, ვინც ოთახებს აქირავებენ და წარმომიდგინე მე განსაკუთრებულ ხარჯის შესაწერადაო.

◆ აგვისტოში მოხსენებული გვქონდა, რომ საერო სკოლების დირექტორმა ქალაქის გამგეობისგან შემწეობა ითხოვა იმ ექვსის ქალაქის სომეხ-გრიგორიანთა სკოლებისათვის, რომელიც უმაღლესის ბრძანებით, გადავიდა სომხის სამღვდელოების ხელიდგან დირექციის ხელში, სანამ ქალაქის გამგეობა ამ საკანს განსახილველად საფინანსო კომისიას გარდასცემდა, მანამ გამგეობამ, როგორც მაშინ ვაუწყებდით მკითხველს, ამ სკოლებს 700 მან. დაუნიშნა შესაწევრად; ქალაქის საფინანსო კომისიამ განიხილა-რა საერო სკოლების დირექტორის შუამდგომლობა და ქალაქის გამგეობის დადგენილება გადასწყვიტა: ქალაქის ფულით პირველად უნდა დაკმაყოფილდეს ის მოთხოვნილებანი, რაც ქალაქის პირდაპირი მოვალეობაა, ცოტაოდნად უკეთ საქალაქო სკოლების მოწყობაში უფულობა გვიცარავს ხელსაო. ამიტომ საფინანსო კომისია შეუძლებლად სცნობს დააკმაყოფილოს დირექტორის შუამდგომლობა და აღმოუჩინოს რაიმე შემწეობა ამ სკოლებსაო. ამას გარდა საფინანსო კომისია არ დაეთანხმება ქალაქის გამგეობას, რომელმაც ინება და დაუნიშნა 700 მან. შემწეობა. შემწეობა ვერ დაენიშნება იმ დაწესებულებათ, ანუ სკოლები, რომლებიც პირდაპირ ქალაქის გამგეობის განკარგულებაში არ იმყოფებიანო.

◆ 6 ოკდომბერს, დუშეთის, ქუჩაზედ კაკუნაშვილის სახლში, უცბად გარდაიცვალა სტავროპოლის მაზრის მოქალაქის ცოლი ბარბარე კარაგოზსკაია.

◆ 8 ოკდომბერს ტფილიჩის მუსიკალურ სასწავლებლის მასწავლებელს ბ-ნ მატკოვსკის, დაუკეტავ სახლიდგან, ვიღამაც მოჰპარა ოქროს საათი, ღირებული 100 მანეთად.

◆ 8 ოკდ. პოლიციის მოხელემ შეიპყრო ბორჩალოს მაზრის მცხოვრები სოფ. შულავერისა ნ. გუკასოვი, რომელსაც ჰბრალდება მიხეილ მახიაშვილის მძიმედ დაჭრა.

—

ტფილისის ქალაქის საბჭოს კრება. *) შემდეგ ილაპარაკეს **თაიროვმა და კიუჩარიანცმა**: კიუჩარიანცმა განაცხადა: როცა ქალაქის ხორცის დუქნებს გაარსებდით, მხედველობაში გვქონდა, რომ დაგვეკლებინებინა ფასები ხორცზედ ყასბებისათვის და მოგვეგვარებინა ხორცის საქმე; აქ-კი რადაც ანგარიშებსა და ხორცის დუქნების გამრავლებაზედ ლაპარაკობენ, ჩვენ ის-კი არ გვინდოდა პირველად, რომ ყასბებისათვის ლუკმა პური წაგვერთმია, არამედ მათი სიხარბე აგველაგმა; ნახევარ წლის მოქმედებამ-კი ის დაგვანახვა, რომ ქალაქის ხორცის დუქნებში ნაკლებ-კი არა, ხორცს ძვირადა ჰყიდდნენ და ფასები ვერ შეამცირეს.

ჩვენ სულ რადაც 50 ათასი მან. გვაქვს და გვინდა მთელი სავაჭრო ბაზარი ხელში დავიჭიროთ; ის-კი გვავიწყდება, რომ ზამთრობით ამოდენა საქონლის შენახვა მეტად საძნელოა. მეორეც ესა, ეხლა რა ხელს მოგვცემთ ჭირიანის საქონლის ყიდვა. გავიწყდებათ, რომ სულ ცოტა ხანში 105 სული მოგვიკვდათ ჭირით; ამიტომ ვაკმაროთ ამ საქმეს ის 20,000 მან., რაც დახარჯულა და არც საჭიროა სხვა დუქნების დაარსება. **ავთანდილოვი**: საბჭომ უკვე გარდასწყვიტა 50 ათასი მან. მიეცემა, ეხლა არ გვინდა ზედ დაპარაკი გვიანდაა. ორი დუქანი საკმარისი არ არის, უნდა დაარსდეს ქალაქის განაპირა ადგილებშიაც და მაშინ შევიტყობთ, შეუძლიან ამ დუქნებმა ფასები დააკლებინოს ყასბებს თუ არა. გულახდილად უნდა გადვიაროთ, რომ ეს ერთად ერთი კეთილი საქმეა, რაც გავაკეთეთ ამ რამდენისამე წლის განმავლობაში. მართალია, სესხი სამძიმოა, მაგრამ ეს სესხი მხოლოდ რამდენისამე თვით იქნება აღებული, რადგანაც ამ ცოტა ხანში შეიძლება ნებაც მივიღოთ ქალაქის ობლიგაციების ნაწილ-ნაწილად განაღდებისა; მაინცა და მაინც, თუ ამ თანხის სესხად აღება სამძიმოა ქუჩებისთვის გადაჭრილ თანხიდგან, შეიძლება სხვა რამ თანხა მოვძებნოთ და ეს საქმე-კი შუა გზაზედ არ შევაფერხოთ.

ბაღდასაროვი: საჭიროა, თაიროვმა გაიცნოს, რამდენად საფუძვლიანად არის ეს საქმე დაყენებული. ჩემის ფიქრით, უნდა მივსცეთ 50,000 მან., რადგანაც მცხოვრებლებისთვის სარგებლობა მოაქვთ დუქნებს და განაპირად მცხოვრებლებმა განა რა დააშავეს, რომ იმათთვის-კი არ მოგვარდეს როგორმე ეს საქმეო.

ბაბოვი: მე სრულიად თანახმა ვარ ჩერქეზიშვილისა, რომ ქალაქის ხორცის დუქნები უნდა გამრავლდეს; არამც თუ ხორცის დუქნები, არამედ პურის საცხობებიც-კი საჭიროა; მე და თაიროვი ვითხოვდით სესხსა და არა ქალაქის გამგეობა. ეხლა კიდეც შეშინიან, გამგეობამ 20,000 მან. მეტი არ დახარჯა? მაინც მიეცეს დანარჩენი 30 ათასი მანეთი, რადგანაც ეს საქმე ფრიად სასარგებლოაო. **არღუთინსკი** ნ. ვ.: შეაძლება გავიგოთ დანახარჯი აღემატება 20,000 მან. თუ არა? თ. **ალიხანოვი**: მე არ მეყურება, რაზედ ვლაპარაკობთ ამდენს ხანს; დიდი ხანია გადავსჭერით, გაიცეს 50 ათასი მ. ხორცის დუქნების დასაარსებლად; ჩვენ რომ შეგვეძლოს ქალაქის ქაღალდების განაღდება, ამდენს აღარც ვილაპარაკებდით, რადგანაც გვეცოდინებოდა საიდგან მიგვეცა; ახლა საქმე იმაშია, მიეცეს 30,000 მან. თუ არა და საიდან? **სულხანოვი**: ჩვენ გვინდა 30,000 მან. და თუნდ იმ თანხიდგან მოგვეცით, რომელიც გადადებულია ქალაქის ქუჩების მოკირწყვლისათვის, გინდ სხვა თანხიდან. **ჩერქეზიშვილი**: არაფერი მეტი დახარჯული არ არის იმ 20,000 მ., რაც საბჭომ გამოიღო. ეხლა ვყიდულობთ 1,000 სულს საკლავს საქონელს, დავიქირავეთ ზამთრის საძოვარი, ვყიდეთ თივა; აი რისთვის გვინდა ფული. **ბაბოვი**: მეტია დახარჯული და ამას მე შემდეგ დაგიმტკიცებთ. **ჩერქეზიშვილი**: მაგ ფულით შევიძინეთ ქონება, მაშასადამე, არავითარი მეტი ხარჯი არ გაგვიწევია.

შემდეგ საბჭოს წევრებმა ხმის უმეტესობით დაადგინეს: მიეცეს გამგეობას 30,000 მ. ქალაქის ხორცის დუქნების დასაარსებლად.

შემდეგ საბჭოს მდივანმა მოახსენა საბჭოს ფელდშერის **გოთვაძის** თხოვნა პენსიის დანიშვნაზედ; **თ. ვ. ნ. არღუთინსკი**: მე ვგონებ, კარგი იქნება გოთვაძეს დაენიშნოს პენსია, ეძლიოს ეს პენსია, ვიდრე ცოცხალია. **ბაბოვი**: მაკვირვებს ჯერ თავ. არღუთინსკის ამისთანა წინადადება და მერე იმ ხმოსნებს საქციელი, რომლებიც თავის სიჩუმით არღუთინსკის ეთანხმებიან! განა რა დააშავა გოთვაძემ, რომ არ უნიშნავენ პენსიას ისე როგორც მოითხოვს საზოგადო წესი, ე. ი. რომ ამ ხანად დანიშნული პენსია ეძლიოს მის სიკვდილის შემდეგ მის სახლობასაც. თავ. **არღუთინსკი**: კიდევ ამტკიცებს, რომ გოთვაძეს სიცოცხლეში ეძლიოს პენსია და მის სიკვდილს შემდეგ მიეცეს თუ არა მის სახლობას, ამაზედ მაშინ ვილაპარაკოთო! **შენშაკოვი**: როგორღა შეიძლება ახლა მაგაზედ ლაპარაკი, როცა კაცი სამოცდა ათის წლისაა, ერთი ფეხი სამარეში უდგას და დღეს თუ ხვალ მისი პენსია მოაკლდება მის მოხუც ცოლს! რა უნდა ჰქნას ცოლმა? განა არ ვიცი, როგორ მალე დაუნიშნავთ ქვრივ-ობრად დარჩენილს ქვრივს შემწეობას? უნდა დაენიშნოს, ჩემის ფიქრით, სამუდამოდ, რომ ამ დანიშნულ პენსიის მიღება მის შემდეგ ცოლსაც შეეძლოს. **სულხანოვი** (ქართველია): ძალიან ვწუხვარ, რომ ხელში არა მაქვს პენსიის დებულება! დაენიშნოს ამ ხანად ჯერ თვით გოთვაძეს და მაგის სიკვდილის შემდეგ განვსაჯოთ, დაენიშნოს მის ქვრივსაც თუ არა. **ავთანდილოვი**: სულ ერთია, ეხლა დავუნიშნავთ სამუდამო პენსიას, თუ სიკვდილს შემდეგ; მერეც ხომ უარს არ ვეტყვით. მაშ ახლა დაენიშნოს სიკვდილამდე. **ბაბოვი**: კაცი ემსახურება ქალაქს ოც-და-ათი წელიწადი, იგი 70 წლისაა და, ნუ-თუ ისე უნდა დაჰხუჭოს სამუდამოდ თვალები, რომ დარდით სავსე ჰქონდეს გული—ჩემი სახლობა ულუკმა-პუროდ დავტოვეო. არა, გთხოვთ გაითვალისწინოთ გოთვაძის 30 წლის დაუღალავი სამსახური და უნუგეშოდ არ დასტოვოთ მოხუცებული. აქ ამბობენ, შემდეგ დავუნიშნოთ პენსია ქვრივსაო. განა ეს-კი საკითხი არ არის, როგორ შეხედავს ქალაქის მომავალი გამგეობა ობრად დარჩენილ ქვრივის თხოვნას?! თუ ჩვენ ვერ გადაგვიჭრია ეს საკითხი, შესაძლოა, მომავალმა გამგეობამ ყურიც არ ათხოვოს!

სულხანოვი: მაიცა და მაინც მე არ ვეთანხმები ბაბოვს; თუნდაც საბჭომ გადაუწყვიტოს სამუდამო პენსია, მე ამას ვიტყვი, რომ 360 მან. მეტად ბევრია ფერშლისთვის; ამოდენა პენსიას ექიმები არ იღებენ! ჩვენ რომ უბრალო მოსამსახურე ფერშლებს მაგდენი დავუნიშნოთ, სად წავა ქალაქის ხარჯი, აბა გაითვალისწინეთ?!

დიდის აყალ-მაყალის შემდეგ საბჭომ გარდასწყვიტა: დაენიშნოს გოთვაძეს სამუდამო პენსია წელიწადში 360 მან. ამავე კრებაზედ განიხილეს ტერ-ასატუროვის პენსიის დანიშვნა; **ალიბეგოვი**: მე არ გახლდით იმ დროს, როცა საფინანსო კომისიამ გადუჭრა ტერ-ასატუროვს სამუდამოდ 400 მ. წელიწადში და მის შვილს უნივერსიტეტის დამთავრებამდის. 150 მ., **ქოჩორიანცი**: რასაკვირველია, ეს პენსია ცოტაა ტერ-ასატუროვის ქვრივისა და ობლისთვის; პენსიის დანიშვნის დროს უნდა ვიქონიოთ მხედველობაში ნამსახურობის წელთა რაოდენობა-კი არა, არამედ სიძნელე სამსახურის; ამიტომ დაენიშნოს ტერ-ასატუროვის ქვრივსა და ობოლს 700 მ. სამუდამოდ. **ბაბოვი**: მოსამსახურის ვინაობის მიხედვით არ უნდა მას მსჯელობდეს არავინ, როცა გოთვაძეს უნიშნავთ 360 მანეთი სამუდამოდ, ამბობდით საერთო წესს ნუ დაემორჩილებითო, ამ შემთხვევაში-კი საერთო წესსაც დაემორჩილეთ და მეტსაც ითხოვთ იმაზედ, რაც საფინანსო კომისიამ გადასჭრა. **სულხანოვი**: დაენიშნოს ტერ-ასატუროვის ქვრივს 600 მან., სანამ შვილი 21 წლის შეიქნებოდესო; საბჭომ დიდის ლაპარაკის შემდეგ გადასჭრა: დაენიშნოს ტერ-ასატუროვის ქვრივს 400 მ. და 150 მ. მის შვილსაო.

---

*) იხ. „ივერია“ № 214.

ჩვენებური ამბები

ბათუმი. მიმდინარე წლის ნოემბერში ბათუმის მცხოვრებლებმა უნდა აირჩიონ ოთხის წლის ვადით ქალაქის საბჭოს ხმოსნები. ამომრჩეველთა სიები ჯერ არ არის საბოლაოდ დამზადებული, მაგრამ მზადდება-კი და ამა ოქდომბრის ხუთმეტამდის გამოქვეყნდება. როგორც სარწმუნო წყაროდან შევიტყეთ, ამომრჩეველთა რაოდენობა უნდა იყოს, დაახლოებით, 140 რუსი, 175 სომეხი, 50 ბერძენი, 245 ქრისტიანი ქართველი და 90 მაჰმადიანი (უკანასკნელთა რიცხვში მომეტებული ნაწილი ქართველია).

ქართველ ამომრჩევლების მხრივ ჯერ-ჯერობით არავითარი საარჩევნო აგიტაცია არ არსებობს, სხვები-კი, როგორც ამბობენ, ერთობ გულსმოდგინეთ ემზადებიანო.

ლ. ლევანიძე

—

კარკუჩა (ხევი). დიდი ხანია ამ სოფლის შესახებ არავის არაფერი მოუწერია. ეს სოფელი მდებარეობს 9 ვერსის მანძილზე სტეფანწმინდიდგან—(ყაზბეგიდგან). მცხოვრებთ რიცხვი აღემატება 40-ს კომლსა. სოფელში სწავლა-განათლებას ჯერ ფეხი ვერ მოუკიდნია. ისევ იმას არჩევენ აქაურები, რომ შავი მიწის მუშანი იყვნენ და არც-კი გრძნობენ, რომ მეზობელს სოფლებში სკოლები არსდება. აქამდის ერთს კაცს ვერ იპოვნიდით ამ სოფელში, რომელსაც ხელის მოწერა მაინც სცოდნოდა, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ბოლო დროს ამათაც თვალები გაახილეს და ზოგმა მათგანმა შვილებიც მისცა სასწავლებელში აღსაზრდელად.

13 სეკდემბერს ძალიანი ავი დღე დაგვადგა. თოვლი მოვიდა მთაში და დიდი ზარალი მისცა სოფელს. ჩამოიტანა ქვევით ხევში და მისცა წყალს 140 ბულული [1]) დევანა ყამარაულისა, 60 ბულული, აკურა ყამარაულისა 30 ბულული ივან, ყამარაულისა, ზვავი ზედ დაეცა თივის ორს საფანდარსა; [2]) ტარიელა ყამარაული კლდიდან გადაუარა ხევში 26 ბულული ლაზარე მარსაგოვისა, 30 ბულული იაგორ მარსაგოვისა, 40 ბულული, იოსებ ყამარაულსა დაიტანა შეშა სამი ურემი ბერა ყარაულისა, ორი ურემი შეშა სვიმონა ყამარაულისა, ერთი ურემი ივანე მარსაგოვისა, ხარი, ძროხა და ცხენი სვიმონა არსაგოვისა,

---

[1]) შეკრული თივა· სიმძიმით 5 ფუთია.

[2]) საფანდარი აბულულებული თივა.

ფელეტონი

გარეწრობა.

ნახევარი ღალატია
მტრების გამოქომაგება
და კერპობა—უსჯულობა
—კარგის გმობა, ავის ქება.

—

ეს არა აქვსთ შეგნებული
„კაჰკაჰელა“ ზოგიერთებს!..
რა ძნელია, როცა ვინმე
გულსა და კუჭს გაიერთებს?!

—

დღემდის გვარად გამეგონა
მეგრელებში დასელია.
დღეს-კი სადაც გავიხედე
საყოველგან დასელია.

—

სიბერის დროს მათს მოძღვრებას
უნებურად მოვჰკარ ყური.
ეტყობათ, რომ აღარ მოსწონთ
სოფლის პრასა-ნიახური!..

—

„ქალაქ-ქალაქ!“ იძახიან;
მარქსის ბუდე ქალაქია!
სოფლის მუშას ასს ერთი სჯობს
მზარეული დალაქია.

—

აღარც ხვნა და აღარც თესვა,
აღარც მკა და არც ყანები!
ვითომც ჩვენშიც ინგლისია.
ქარხანები!.. ქარხანები!!

—

მომეწონა მათი აზრი.
კარგი არის მათი მცნება!..
მაგრამ ჩვენთვის ჯერ-ჯერობით
უნდა იყოს-კი ოცნება!..

—

თავთავისი დრო აქვს ყველას
ბუნებრივი, შესაფერი
და ვინ არევს ერთმანეთში
თუ არ, ვინმე, თავის მტერი?

—

შემოდგომას ხვნა და თესვა—
ზაფხულში კი მკა ქებულა
და თუ მუშას არ სცოდნია
ეს, მასხარად აგდებულა!

—

„დედა-მიწა“ მიტომ ჰქვია
ხმელეთს, რომ ჰშობს ქვეყნის ძალას!
ვინც გაურბის, ეძახიან:
ბოგანოს და მაწანწალას.

—

და მეც მიტომ თანავუგრძნობ
იმ შინაკაცს, გურულ—სოფლელს.
პასუხი რომ მოჰრით უთხრა
გადამარქსულ ვითომ დასელს.

—

„გურულმა სთქვა, სხვა ქვეყნები
მოვიარე მომეწონა,
მაგრამ მაინც ჩვენი ქვეყნის
მოშორებამ დამაღონა!

—

გაეცინა დასელს და სთქვა:
„ეგ სიტყვაა უთავბოლო!..
კაცი სადაც კუჭს გაიძღებს
იქ ექნება მას სამშობლო“.

—

სოფლელმა რომ ყური მოჰკრა
თავის ქნევით უპასუხა:
აგრე ფიქრობს თურმე ღორიც
და სამშობლოდ, სწამს მას მუხა.

—

ველურ ჯიშის ღორი მყავდა,
ერთხელ ტყეში გამეპარა;
მუხა ნახა, რკო იგემა
და შინ აღარ მომეკარა.

—

დამიწუნა, მაგრამ ბედმა
გარე—ლუკმა ჩააშხამა:
მართალია მსუქნად იყო
მაგრამ მგელმა-კი შესჭამა!

—

ჩემ სახლში რომ ყოფილიყო
რა უჭირდა სასიკვდილო?
და ამას მე მიტომ ვამბობ
რომ სხვა მაინც გავაფრთხილო!“

—

მოდი ახლა და ნუ იტყვი,
რომ ჰკუაა მასპინძელი.
და სწავლა-კი სტუმარია
შინ სამოყვროდ ცოტა ძნელი.

—

თუ რომ სტუმარს მასპინძელმა
ვერ გაუღო სახლის კარი,
გაბრუნდება, სხვისას მივა,
როგორც ძმა და მეგობარი!

აკაკი.

რეხის ქართველები.

(შემდეგი *)

მოახლოვდება გაზაფხული, დადგება აპრილის თვე თუ არა, რეხელ გლეხებს ძილი არა აქვს და მოსვენება. საჭმელი პური აკლიათ მათ ოჯახში და სათესლე ხომ წამლათაც არ მოეპოვებათ. არიან ფიქრში და ვარამში, რა ვქნათ, სად ვიშოვნოთ, ვისგნით ხელი გავიმართოთ და სხ. აქეთ ეცემიან, იქით ეცემიან და, როგორც იქნება, იშოვნიან ახირებულის სარგებლით ფულს ქირნახულის სასყიდლად. ფულის შოვნისათანავე შეჰკაზმენ ცხენებს, ანუ შეაბმენ ურემსა და გაუდგებიან გზას ახალქალაქისას, გუმბრისას და გორის მაზრისას. რამდენიმე დღის შემდეგ ოჯახში მოიტანენ იაფად თუ ძვირად ნასყიდ ქირნახულსა. დიდით პატარამდის ოჯახში მყოფნი მოტანილის ქირნახულის დანახვით, სიხარულით ცას ეწევიან. კაცები მეორე დღესვე შეაბმენ უღელ ხარსა ჩიათში ანუ სხვა ოქოქაში. წარსულ ზაფხულს მოხნულს ხელმეორედ დახნავენ გუთნით, ჩიათითა მიწებსა. ამასობაში იმათი ქალები საჩქაროდ აკეთებენ ნასყიდ ქინახულსა: თავანკარს სათესლედ გადასდებენ, თავანკარის განაცხავებს ხელმეორედ გაახცავებენ ცხრილში, დანარჩენს საწისქვილოდ გაამზადებენ დასაფქვავად, რომ იმით როგორმე ოჯახი იოლად წავიდეს და კარებზედ მომდგარი შიმშილი დაიოკონ, და ნაბოლარა-ნაწმენდს თუმცა-კი იმას ნაწმენდისა არა ეტყობა-რა, ერთ ფუთში სულ სამი გირვანქა ბეიტი პურის მარცვალიც არც-კი იქნება, უფრო მომეტებული-კი გორგოლა, ქვა და მიწაა; ამ გვარ ნაწმენდს ინახავენ შინაური ფრინველების საკენკად. ყველა რეხელი მეკომური ამგვარად იქცევა მუდამ ჟამს მდიდარ-ღარიბის გაურჩევლად და თუ რომელიმე ოჯახში ბევრი სული მჭამელია, მათ ოჯახიდამ ერთი ანუ ორი კაცი ცხენით, ან ურმით წელიწადი თორმეტი თვე გადამდგარია ქირნახულის საზიდავად შორი მხარეებიდამ.

ავად თუ კარგად, დასთესვენ რეხელები თავიანთს ხნულებს, პურით, ქერით და დიკათი. დაჰფარცხვენ, ჯვარს გადასახავენ ნათეს მიწებს და გულს იმით დაიარხეინებენ, რომ, იქნება, ამ წელს ღმერთმა მოხედოს მათ და წლის სამყოფი სარჩო მოუვიდეთ. რაც უნდა ყინვა და უამინდობა იყოს, რეხელები თავიანთ ხნულებს აპრილის ნახევრობამდის დაუთესავს არ დასტოვებენ, თუნდაც რომ ყინვამ მთლად თესლი გაულაყოს. თესვის შემდგომ რეხელები ტყიდამ ზიდვენ ფურნის გასახურებელს და სახლ-დერეფნის ხე-ტყეს; ქალები-კი სთესენ კარტოფილსა. კარტოფილის თესვის შემდეგ დიდი და მორბედი მდედრობითის სქესისანი, ვინც რომ ოჯახებში იმყოფებიან, მოედებიან მთა-ბარს, ჰკრეფავენ ყანებში თუ სათიბ მიწებში „ატოლას“, რომელიც მიწა-ვაშლას მიემსგავსება და საახალწლოდ მისალოცს კამფეტ-ფორთახალს უდრის, შემდეგ; ამ ოტოლაზედ ამოვა თუ არა ყლორტები, თუ რომ რეხელ ქალების ცქვიტმა თვალებმა ვერ დაინახეს და თვით ძირი ატოლა მიწიდამ ამოყრილი დასტოვეს, მაშინ ამ ყლორტებს, რომელსაც აქაურები ეძახიან „ღიმსა“, ჰკრეფავენ ქალები, ტომარა-ტომარაზე ზიდვენ ყოველ-დღე თავ-თავიანთ ოჯახებში. კარგად გარეცხის შემდეგ დაამარილებენ, სდებენ ქილებში, ამჟავებენ და ეს ღიმი კომბოსტოს წნილის მაგიერ იჭმევა, თუმცა-კი უჩვევს ადამიანს ქარებსა და მუცლის ბერვას დამართებს აუცილებლივ, მაგრამ რეხელებს ბუზსაც ვერ აუფრენს. როცა ეს ღიმიც გახევდება და წნილად ჩასადებად აღარ ივარგებს, ქალები ამის კრეფვას დაეხსნებიან და ღიმის მაგიერ ჰკრეფავენ ტყეში ღანძილს, რომელსაც ღიმსავით ამჟავებენ და მარიამობისთვის მარხვაში შეექცევიან. იმ დრომდის-კი ამ ღანძილს ერთ ღეროსაც არავის აჭმევენ, ვინც რომ იყოს და ხატის მიზეზიც გამოაჩნდეს. ესე ამ რიგად ივლისის თვის დამდეგამდის რეხელი გლეხები ებრძვიან ტყეს და მათი ქალები-კი ატოლასა, ღიმსა და ღანძილს: თუ რომ რომელიმე ოჯახში ხუთი ანუ მეტი სული მოწიფული ვაჟკაცია, იმ ოჯახიდამ შეიძლება ვინმე გასხლტეს ივნისის თვეში ქართლის მხარეს თივის სათიბავად და ივლისის დამდეგისათვის-კი უეჭველად სამუშაოდ წასული კაცი შინ უნდა იყოს.

ივლისის თვე დადგება თუ არა, თუმცა საქართლოს კუთხეებში გაიჭრება ქირნახული, აქ ამ დროს რეხელები მოსჭრიან აგურის მსგავსად „წივას“ ანუ საქონლის პატივს, რომელსაც შემოდგომიდამ დაწყებული, საქონლის ბოსლებში დაბმის დროიდამ, ვიდრე აპრილის გასვლამდის აგროვებენ კალოებზედ, ხელის სისქედ შლიან ზედ, ადამიანის და საქონლის ფეხი გავლით და გამოვლით სტკეპნის მას, მზეც ზემოდამ აჭერს და აშრობს. მოჭრის შემდეგ რეხელები ამ წივას დასდგამენ ერთს ადგილს თივის ზვინსავით და შეშის მაგიერ ხმარობენ სუყველაფერში, მხოლოდ ფურნის გარდა. ფურნეს წივა ვერ გაახურებს; თუ არ შეშა. თუმცა წივა კვარსავით იწვის, მაგრამ მეტის-მეტი მძიმე რამ სუნს უშვებს და

---

*) იხ. „ივერია“ № 213.

ძროხა და მოზვერი დევანა ყამარაულისა, ძროხა გერისო ყაამარულისა, ორი ძროხა გაგა მარსაგოვისა, ცხენი და ძროხა გიგოლა მარსაგოვისა, ცხენ-კვიცი ივანე მალსაგოვისა, ერთი ძროხა გიორგი მარსაგოვისა, ძროხა და ხბო გლახა ყამარაულისა, ძროხა კობა ყამარაულისა, ძროხა სვიმონა მარსაგოვისა, ერთი ხარი ვასილა მარსაგოვისა, ორი ცხენი და ერთი ხარი ქოთია ყამარაულისა, ერთი ძროხა ხეცა მარსაგოვისა, ორი ძროხა მიქელა ყამარაულისა, ერთი ძროხა და ხბო გრიგოლ მარსაგოვისა, ხარი და ძროხა ესტატე ყამარაულისა, ძროხა ადამა ყამარაულისა, ძროხა ვანე მარსაგოვისა, ხარი და ძროხა შიკო მარსაგოვისა, ძროხა სვიმონა ყამარაულისა. აგრეთვე დავზარალდით ჭირნახულით. ნახევარი ყანები მოსამკალი დაგვრჩა, დაედო თოვლი და სულ დაძრო. წელს ძალიან დიდი ზარალი გვეწვია, როგორც კარკუჩლებს, ეგრე მთელს ხევსაც.

ლექსო კარკუჩელა.

კავკასია

ბაქო. დღეს-დღეობით ბაქო ჩვენში პირველი შეძლებული ქალაქია. ვინც აქ ყოფილა და აქაურ ცხოვრებას იცნობს, ის უსათუოდ დაინახავდა ორ უკიდურესობას: ერთის მხრით ვეებერთელა სიმდიდრე-კაპიტალს, მეორე მხრით გულის შემზარავ სიღარიბე-შიმშილს. პირველის წარმომადგენლები არიან ნავთის ან სხვა რამ კომერციული საქმის მწარმოებელნი, მეორესი-კი მუშები. ერთიცა და მეორეც გამალებული შრომობს აქ: პირველი სცდილობს უფრო გაადიდოს თვისი ქონება, მას დღე და ღამ მხოლოდ ეს აგონდება, სიმდიდრის გარდა, მას არა სწამს-რა; მეორე-კი იმის ფიქრშია, დღიური ლუკმა იშოვნოს, შიმშილმა არ მოჰკლას.

ერთის სიტყვით, აქაური ვარამი „სულ ფული და ფულია"; ყველას ეს ელანდება ცხადად და სიზმარში, ხშირად შეხვდებით აქ „თავისთავად" ქუჩაში მოსაუბრე კაცს, რომელიც ხელებს შლის და თანვე ბოდავს: „მანეთი"... „ხუთი მანეთი"... „ასი ათასი"... „ორასი ათასი"... და სხ.

მოდით და ან-კი ნუ დაგაგიჟებსთ ამნაირ პირობებში ცხოვრება! ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ დღეს აქ კაცი ათიათასების პატრონი იყოს, ხვალ მის ადგილში ნავთის შადრევანებმა ამოხეთქოს და იგიც რამოდენიმე დღის შემდეგ ერთბაშად მილიონის პატრონი შეიქმნეს და ადამიანი რადა ერთხელ ჩასტოპავს „ოქროს მორევში", სხვა რადა გაახსენდება?!..

დიახ, ბაქოში ჯიბე ყველას კარგად ახსოვს, რაიცა შეეხება გონების განვითარებაზე ზრუნვას, ამისი-კი რა მოგახსენოთ! მართალია, აქ არიან ბიბლიოთეკები და ზოგიერთი მათგანი კარგადაც დააკმაყოფილებს საშუალო მკითხველის გონებას, მაგრამ მარტო ბიბლიოთეკებმა რა ჰქნან? სახალხო თეატრი და წარმოდგენები, კრებები და ლიტერატურული საღამოები ან სხვა რამე ამგვარი გონივრული გართობა ხიჭად თუ მოიპოვება აქ! რაიცა შეეხება ბ-ნ ტაგიევის თეატრს, მასაც ძალიან ცოტა მუშტარი ჰყავს. სამაგიეროდ კლუბი ნიადაგ სავსეა კარტის მოთამაშეებით და ბალახანის ქუჩა ათასი მოხეტიალეებით. ეს ქუჩა გახლავსთ ის „ღირს შესახიშნავი" ქუჩა, რომელიც ახასიათებს ბაქოელებს: აქ 14-მდე სარესკიპოა, იქ ერთის სისხლით მეორე ვაჭრობს, მდიდრდება და საღამოს 6— 7 საათიდამ დილის 5—6 საათამდე ეტლების შეუწყვეტელი რახა-რუხია, ფორტოპიანოს ხმები და ხალხის ხმაურობა.

ასეა შუაგულ ბაქოში, რაღა იქმნება მის მიდამო ადგილებში? რაი და ამაზე უარესიც: გული შეგიღონდებათ, რომ კვირა-უქმე დღეს საბუნჩაბალახანაში ახვიდეთ. დილის 11 საათიდამ დიდ მოძრაობაშია აქაური სამიკიტნოები: დიდი, პატარა, ქალი და კაცი „პილატეს ცრემლს" ცქაჩება, ან ღვინო-ლუდს შეექცევა და ნაშუადღევის 3—4 საათზე ზოგი აქ აგდია, ზოგი იქ—უგრძნობლად ტალახ-მტვერში, ან და ქუჩა-ქუჩა დახეტიალობენ და მათ ყვირილ-ჩხავილსა და გარმონის წრიპინისაგან ყურთა სმენა არ არის.

კარგზე კარგი იქნებოდა, რომ მადლიან სცენის მოყვარეთ კვირა-უქმე დღეს ხშირ-ხშირად გაემართათ აქ სახალხო წარმოდგენები, ხალხი მიეზიდნათ, გაერთოთ და დაეხსნათ იგი გარყვნილებ-გადატაკება-ავადმყოფობისაგან.

ცოტა არ იყოს, ბაქო, მეორე გაზეთის „Бакинск. извѣст."-ის დაარსებამ გამოაცოცხლა. აგერ მეორე თვეა, რაც იგი არსებობს და ეხლავე შეეტყო საზოგადოებას გამოფხიზლება. ერთი გაზეთი რა გინდ კარგი პროგრამ-წერილებით გამოდიოდეს, რას გააწყობს ამდენ ხალხში?.. დღემდის აქ მხოლოდ გაზ. „კასპი" იყო და რაც უნდა ეთქვა, თითქმის უკანტროლოდ საღდებოდა, დღეს-კი ორი გაზეთი ამოსდგომია ერთმანერთს გვერდში და თუ რამე შესცდა რომელსამე, მუჯლუგუნები მზათაა. მალე ახალი გაზეთიც გამოვა კიდევ („ბაქო"), შეიძლება, მას კიდევ ახალი მოემატოს მოკლე მომავალში და ბაქოს ცხოვრებაც თვალსაჩინოდ შეიცვალოს. ვუსურვოთ, რომ ეს მალე მოჰხდეს კაცთა საკეთილდღეოდ!..

შემდეგისთვის ვეცდები შეძლებისდაგვარად ავუწერო მკითხველებს აქაური რომელიმე დიდი ქარხნის მუშების ცხოვრება და განვმარტო, თუ რომელი ნაციის ხალხი რა სამუშაოს ეტანება...

პეტრე.

რუსეთი

2 ოკდომბერს პეტერბურგის უნივერსიტეტში საისტორიო-საფილოლოგიო ფაკულტეტზე პ.—დ. სტრუევმა წაიკითხა პირველად ლექცია: „ბატონ-ყმობის გაჩენა რუსეთში". ლექტორის აზრით, კანონმდებლებს ყალბი შეხედულება ჰქონდათ ამ საგნის შესახებ. მისის აზრით, ბატონს იმ გვარი უფლება ჰქონდა გლეხზე, როგორიც სახელმწიფოს, ე. ი. გლეხი ბატონის სრულს განკარგულებაში არ ყოფილაო. მან გააცნო მსმენელთ იმპ. ეკატერინეს, რადიშჩევისა და პაგოდინის შეხედულება ამ საგანზე და სთქვა, რომ ჯერ ძნელი გადასაწყვეტია ეს საგანი. იგი მოითხოვს დიდს ეკონომიურს და უფლებრივს ცოდნასაო. შემდეგს ლექციებში განვიხილავ ბატონ-ყმობას რუსეთში ყოველ მხრივაო.

— მოსკოვის შრომის ხელის შემწყობ მუზეუმის გამგეობას აზრადა აქვს შეჰკრიბოს ცნობანი, თუ რა არის გაკეთებული რუსეთში მშრომელი ხალხის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მუზეუმის გამგეობა სთხოვს ყველას, ვისაც-კი აინტერესებს მუშა ხალხის უკიდურესი მდგომარეობა, გაუგზავნოს ამის შესახებ ყოველგვარნი ცნობანი, მაგალითად როგორია მუშათა საცხოვრებელი ბინა, როგორ არის მოწყობილი წვრილი კრედიტი, მუშათა დაზღვევა, მითი კასები, ჯანმრთელობა, მუშათა დაქირავება და სხვა.

ბ-ნ ოზეროვის გამოკვლევით, პეტერბურგის სახელოსნოებში 40 ათასი შეგირდი მუშაობს. მათ შორის 25—30 ათასი ვაჟია, 10—15 ათასი ქალი. 15 ათასი პროვინციიდგან მოსულებია. 40 ათას შაგირდში მხოლოდ 10% (4000) თუ ხდება ქარგლად, დანარჩენი 90% (36000) კი უფროსების განუსაზღვრელ განკარგულებაშია. შეგირდების მდგომარეობა მეტად აუტანელია. უფროსებში (ხელოსნებში) ის აზრია გავრცელებული, რომ მხოლოდ სასტიკ მოქცევით თუ შეიძლება შეგირდმა რამე ისწავლოს და ხელოსანი შეიქნეს. ისინი მსჯელობენ ამ გვარად: „ჩვენ გვექცეოდნენ სასტიკად და შეუბრალებლად და ჩვენც ვალდებული ვართ ჩვენს შეგირდებსაც ასე სასტიკად და შეუბრალებლად მოვექცეთო". განა შესაწყნარებელია ამ გვარი აზრი?—ბრძანებს ოზეროვი. ნუ თუ მკაცრად და მხეცურად მოქცევა შეგირდს გახდის ხელოსნად? რას გვეუბნება სტატისტიკა? იმას, რომ 90% ქარგლობასაც ვერ მიაღწევს ხოლომე.

უცხოეთი

საფრანგეთი. გასულ შაბათს მუშათა დასმა, რადგან ჟორესი დეპუტატთა პალატას დაუბრუნდა, მის პატივ-საცემლად ნადიმი გაჰმართა კარმოში. ყოფილმა ვაჭრობის მინისტრმა მოლიერანმა სიტყვა წარმოსთქვა და ის აზრი გატარა, რომ მუშათა დასი როგორც საშინაო, ისე საგარეო საქმეებში მშვიდობიან პოლიტიკას ადგიაო.

საფრანგეთის რესპუბლიკასაო—სთქვა მილიერანმა, მშვიდობიანობა სწადიანო. მოვალეობა და თანაც სახელი რესპუბლიკისა და კერძოდ მუშათა დასისა იმაში მდგომარეობს, რომ ხელი შეუწყოს ისეთ უსიამოვნება-უთანხმოების მშვიდობიანად გადაწყვეტას, რომელიც აქამდე ომიანობას იწვევდა. საბედნიეროდ, ამ აზრის სასარგებლოთ ბევრი რამ გაკეთდა. ჰააგის კონგრესმა განა მცირე სარგებლობა მოგვიტანა. მან ისეთი თესლი დასთესა, რომელიც ხელის-ხელ საგოგმანებლად უნდა ჰქონდეს ყოველს მუშათა დასსა და განსაკუთრებულის სიყვარულით უფრთხილდებოდეს მის განაყოფიერებას. ჩვენდა სასიამოვნოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ უწინდელ დასისებურ საზარელ ომებსა და სისხლის ღვრას თანდათან ეღება ბოლო. საერთაშორისო დამოკიდებულობა იმდენად გართულდა, რომ საყოველთაო ამხედრებას ყოვლად შეუძლებელსა ჰყოფს. რომ სრულიად გაიდევნოს ომი და დავიწყებას მიეცეს იგი, საჭიროა გავავრცელოთ შეთანხმების იდეა, რომელიც მტკიცედ აკავშირებს სხვა-და-სხვა ხალხთა ინტერესებსაო.

ავსტრია-უნგრეთი. მინისტრ-პრეზიდენტ კერბერის ჩეხურისა და გერმანულ ენათა უფლების შესახებ მოპირდაპირე დასთა განსახილველად წარდგენილი პროექტი ავსტრიის გაზეთებს დაწვრილებით არ მოჰყავს. მაგრამ რაც დაბეჭდილია, ისიც ცხადსა ჰყოფს, რომ ჩეხები მას არ მიიღებენ.

დავიწყოთ იქიდგან, რომ პროექტში მოხსენებულიც-კი არაა სილეზია, სადაც სლავიანებს ყველაზე მეტი გაჭირვება ადგიათ. გარდა ამისა პროექტით სულ სხვა-და-სხვა ზომები უნდა იქმნეს მიღებული ბოგემიისა და მორავიისათვის. კერბერს, ეტყობა, სამართლიანობის პრინციპი-კი არა ჰქონია სახეში, არამედ პრაქტიკული ანგარიში: ესა და ეს ოლქი მეტად იყო შევიწროებული აქამდე, და მცირეოდენი უფლებაც რომ მივანიჭოთ, მაინც მადლიერი დაგვრჩებაო. რაც შეეხება ბოგემიას, სადაც ჩეხები სეიმშიაც ბატონობენ, და ქონებრივადაც წელ-გამაგრებული არიან, კერბერი მეტ უხვობას იჩენს. მაგრამ ბოგემიის შესახებაც კერბერის „უხვობა" ბევრად უფრო მცირეა მის წინამოადგილეთა—ბადენისა და ტუნისაზედ. ბოგემია ამ პროექტით გაყოფილია სამ ოლქად—გერმანელებისა, ჩეხებისა და გერმანელ-ჩეხებისა. ერთ-ერთს ენას მხოლოდ იმ ოლქში უნდა მიეცეს უპირატესობა, სადაც წინად 20%-ზედ ნაკლები იყო სხვა-და-სხვა ენაზედ მოლაპარაკეთა რიცხვი. ჯერ ერთი, რომ ეს პროცენტი თავის თავად მეტად დიდია; მეორეც ისა, რომ ზოგან, სადაც გერმანელები და ჩეხები ერთმანერთში არიან არეული, ავსტრიის ტენდენციურ სტატისტიკის წყალობით, მხოლოდ გერმანულ ენას გააბატონებენ. ამას გარდა კერბერი სარგებლობს ავსტრიის აღწერის იმ ორ-აზროვან ტერმინებით, რომლითაც სრულიად დამახინჯებულია ნამდვილი რიცხვი არა-გერმანელთა. იმ ოლქებში, სადაც მხოლოდ ჩეხური ენა მეფობდა, და შემდეგ, ორის წლით იქმნა გაუქმებული, ეხლაც ნება-დართულია ეს ენა ამ პროექტით, მხოლოდ დიდის შემცირებით. მორავიაში-კი, სადაც გერმანელნი მხოლოდ ქალაქად ცხოვრობენ, და სოფლად-კი დიდ უმრავლესობას ჩეხები შეადგენენ—ორივე ენა უნდა იქმნეს შემოღებული. თუმცა კერბერს თვით არ მიაჩნია უნაკლულოდ ეს პროექტი, მაგრამ ზოგიერთმა გერმანელთა ორგანმა უკვე გამოსთქვა ის აზრი, რომ ჩეხებს გადაჭარბებულის სიუხვით ეკიდება კერბერიო. მეტი უსამართლობა განა-ღა შეიძლება.

ოსმალეთი. „Temps"-ს ატყობინებენ სტამბოლიდგან, რომ პორტამ მიჰმართა დიდ სახელმწიფოებს ნოტით, რომელშიაც სჩივის ოსმალეთის საზღვარზედ ბულგარიის მთავრობის მოქმედების შესახებ. საზღვრები ცუდად არის დაცული და ამით სარგებლობენ შეიარაღებული ბრბონი, ადვილად გადადიან ბულგარიიდგან ოსმალეთშიო. ოსმალოს ჯარების მიერ დამარცხებული ბრბონი კიდევ ამავ გზით თავისუფლად ბრუნდებიან ბულგარიაშიო.

ამასთანავე პორტა ყურადღებას აქცევს იმ გარემოებასაც, რომ ბულგარიის ერთ მონასტერში ამ მოკლე ხანში ბაიარაღები აკურთხეს და გადასცეს ბულგარელ სათადარიგო ოფიცრებს, რომლებიც ემზადებოდნენ მეამბოხეებთან ერთად მაკედონიაში გადასასვლელადაო. ეს ოსმალეთს ბულგარიის მხრით მაკედონელ ინსურგენტთა წაქეზებად მიაჩნია,

ავსტრია-უნგრეთი. პოლონურ გაზეთების სიტყვით, ვენიდან ირწმუნებიან, იმპერატორმა განიზრახა ჩეხელ დეპუტატთა მიწვევა და პირადად მოლაპარაკება მათთან. იმპერატორს ჰსურს, რომ ამით ჩეხებს ხელი აალებინოს ყოველგვარ საობსტრუქციო პროექტებზედაო. ამასთანავე წინდაწინვე გამოუცხადებს მათ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნები, განსაკუთრებულ პოლიტიკას დავუბრუნდეო.

იტალია. „Tribuna" ირწმუნება, რომ ამ ჟამად საფრანგეთის და იტალიის მთავრობათა შორის მოლაპარაკებაა პრეზიდენტ ლუბეს რომში გამგზავრების შესახებაო. თუმცა აქამდე, ეს მოლაპარაკება არ დამთავრებულა, მაგრამ მაინც იმედია ორივე მთავრობა საერთო სურვილს დააკმაყოფილებსო.

ინგლისი. გენერალმა ლორდ მეტუენმა, რომელიც სამხრეთ-აფრიკაში ბურების წინააღმდეგ ინგლისელ ჯარებს მთავარ-სარდალმა დიდი უცოდინარობა გამოიჩინა სამხედრო საქმეებში, რის გამოც დაატყვევეს ბურებმა, მაგრამ, დელარეის შემწეობით, ისევ მალე გაანთავისუფლეს.

სარდლობის უცოდინარობა კიდევ არაფერია; ვერც სხვაფრივ ყოფილა კაცური კაცი: ეს უხეირო სარდალი თურმე დიდი უმადური კაციცა ყოფილა. ინგლისურ გაზეთების სიტყვით, ქვრივ-ობოლ და ხეიბარ ბურთა დამხმარე ფონდის დამაარსებელ ამერიკელის ფაიპსის წინადადებაზე შემწეობა აღმოგვიჩინეთო,—ლორდ მეტუენს უარი განუცხადებია და თანაც ავად მოუხსენებია ის ხალხი, რომლის საარაკო სულგრძელობა და პატიოსნება თვითონვე გამოსცადა. ინგლისურ მწერლობის სასახელოდ, ლონდონის ზოგიერთმა გაზეთებმა სამართლიანი მსჯავრი დასდო მეტუენის ასეთს საქციელს. აი, მაგალითად, რასა სწერს ამის შესახებ „Daily

---

საჭმელსაც გემოს აძლევს. ხამს ადამიანს წივის სუნი მთლად დაჰბნედს და იმაზედ მოხარშულს საჭმელს ხომ სულაც ვერ მიეკარება, ერთი კვირის მშიერიც რომ იყვეს, მაგრამ რეხელბი-კი ისე არიან შეჩვეულნი წივასა, რომ თითქმის უიმისოდ ვერც-კი გასძლებენ. არა ადრე ივლისის ათისა, როდესაც მოათავებენ წივის დაბინავებას და მოჰრას, რეხელები მაშინ შეუდგებიან სათივე მიწების თიბვასა და გუთნის დედებიც ამ დროიდამვე დაიწყობენ გათიბულ მიწების ხვნასა, საგაზაფხულოდ ჭირნახულების დასათესავად. თივის თიბვაც და ხვნაც თითქმის ერთს დროსა თავდება, არა ადრე აგვისტოს ოცისა. რეხელების გუთანი და მასთანაც ხვნა საშინლად გააკვირვებს უცხო ადამიანს: ათ-უღელა ხარ-კამეჩი წელში გაწყვეტილი და პირიდამ ენა გამოდებული მიათრევენ ალმა თუ დალმა ხისაგან ნაკეთებს ვეებერთელა ნოეს დროის გუთანსა. ამ გუთნის საკვეთელს ერთი კაცი ვერ ასწევს და სახნისს ხომ დაძვრითაც ვერ დასძრავს გუთნის სიმძიმით კიდევ არა დაშავდებარა, თუ რომ რეხელი გუთნი-დედები ნახევარ ადლის სიღრმეზე არა ხნავდნენ ქვიშნარ ნიადაგიან მიწებსა და მით უენო საქონელს თავიანთ უჭკუობით წელებს არა სწყვეტდნენ. სანამ გუთნებიდამ მუშა-საქონელი არ გამოეშვება, რეხელები გათიბულს თივებს მინდვრიდამ ვერ მოზიდვენ და აქვთ ურმეულად დაძირულ ახლად მოხნულს მიწებზედ, რადგანაც საქონელი ყველას გუთნებში უბიათ, რომლის მიზეზის გამო რეხელებს თივები მოუტანლობით მინდორში ანუ მთაში ულპებათ ხშირი წვიმების გადამკიდე და ამათ, ჩემის ფიქრით, არ დაულპებათ არას დროს თივა, თუ რომ მოიშორებდნენ თავიდამ იმ ბუმბერაზს გუთნებს, რომლებსაც ამ ჟამად ხმარობენ და შესცვლიდნენ ახალ მოგონილს გუთნებზედა, ე. ი. ჩეხურზედ, რომელსაც, ერთი თუ გასჭირდა, ორი უღელი საქონლის შებმის მეტი არა სჭირია-რა და დანარჩენ საქონლით-კი რეხელები თივას მოზიდავდნენ დროზედა. გუთნებიდამ გამოშვებულ მუშა საქონელს რეხელები არც-კი შეასვენებენ ერთს დღეს მაინც, იმ წამსვე შეაბმენ ურმებში, რომლებსაც უყვართ ხარ-კამეჩი ვერ დასძრავს თვითოს ადგილიდამ და ამ გვარ ბრაჰძ ურმებს დააყრიან უზომოდ გათიბულს თივას შააბმენ თითოში ხუთ-ექვს უღელ საქონელს, ასტყდება რეხელების ღრიალი დ ყვირილი, სოფელში, თუ მინდვრად საქონლის ცემა-ტყეპა ცამდის ადის და ისმის ხან სად გადაუბრუნდებათ რეხელებს ურმები და ლუკმა-ნაჰრებათ ექცევათ. ც ხან სადა, უხეირო გზების გადამკიდე, ამასთან საქონელიც ეჩხებათ მათ. ამ გვარ ტანჯვა-ვაებით რეხელები ეზიდებიან თავ-თავიანთ თივებსა და სდგმენ სოფელში დანიშნულს მათთვის ადგილებზედა. აგვისტოს თვის მიწურულ დღეებში, რეხელები ცელებით ხელში შაესევიან ყანებსა და სცელავენ ერთს მიწას გასცელენ, მეორეს მიჰყოფენ ხელსა და გაცელილს-კი ქალები აგროვებენ ბულულებად, შემდეგ ურმეულად მიწებშივე სდგამენ და თივის ზიდვის მოთავებამდის არა ადრე ხუთ-ათ სეკდემბრამდის ეს რეხელების გაცელილი ჭინახული სოფელში არ მიიზიდება და ლპება-იქმევა ხშირი წვიმებისგან და საქონლისაგან თივების დაბინავება-დაძირვას მოათავებენ თუ არა რეხელები, მაშინვე შეუდგებიან ჭინახულის ზიდვას სოფელში. ამ ხანებში რეხელ ქალებს მეტის-მეტი ჯაფა ადგიათ, ვიდრე წინა ხანებში, გაფაციცებით და დაუსვენრად ჰგვიან კალოებს და მოგვილს ნაგვებს ჰყრიან ჯინებით, თუ სხვა რამით, კარგა, მოშორებით, კალოების მორწყვა აქ ჩვეულებათ არა აქვთ, იღებენ მიწებიდამ შემოსულს კარტოფილს და ეზიდებიან ვეებერთელა ტომრებით თავ-თავიანთ სახლებში. ინახვენ ორმოებში, რომ უფრო კარტოფილს გრილად იყოს და არ აყვავდეს უდროვოდ. ერთი სიტყვით ამ ხანებში შესაბრალისნი არიან რეხელი ქალები, მაგრამ რას იზმენ ეს სუსტი ქმნილებანი, ქმრებს უეჭველად უნდა მხარ-და-მხარ უშველონ, რომ სოფელში არავინ გაჰკილონ ისინი და კნეინობის სახელი არ დაერქვათ მათ. ჩაშლილს კალოებზედ რეხელები, როდესაც-კი მინდვრებიდამ მოზიდვას ჭინახულისას მოათავებენ და დასდგმენ კალოების პირებზედ, რასაკვირველია, შეაყენებენ მხოლოდ მაშინ ზედ, ვის რამდენი უღელი მუშა საქონელი ჰყავთ, ცხენების შებმა ამათ ჩვეულებათ არა აქვთ, მოუკიდებენ ხარ-კამბეჩს კევრებს, რომლებსაც საზოგადოდ საქართველოში ყველანი ხმარობენ, მაგრამ რეხელებისა-კი, ქართლელებთან შედარებით, უფრო მოდიდონი და მძიმენი არიან. გაიმართება სოფელში ლეწვა-კალოობა და რეხელები დიდ-პატარამდისინ სქესის განურჩევლად, გამჩენ ღმერთს მხურვალედ შესთხოვენ, რომ ზენამ მათ, წლის საკვებავი-სარჩო სამყოფად მისცეს, მაგრამ რაღაც ცოდვების და უბედურობის გამო. რეხელების გულ-მხურვალე ლოცვა-ვედრებას, ღმერთიც არ იწყნარებს: მიწების დათესვის დროიდამ ვიდრე ჭინახულის ორმოებში და ამბრებში დაბინავებამდისინ, რეხელებს გული უფრიალებთ დაჭერილს ჩიტის მსგავსად, რადგანაც ჭინახულის ნაკლებულობის გამო დაშინებულნი არიან და გულიც გატეხილი აქვთ.

მოგეცათ სიცოცხლე, თუ რომ მშრალი და გვალვიანი წელიწადი დაუდგათ რეხელებს, ამათ მაშინ გულის ფრიალი და წუხილი სიხარულად გადაექცევათ, რადგანაც ყველაფერი, რაც კი დაუთესნიათ და თივაც უხვად და ერთი ორად მაინც მოუვათ და მშრალადაც მოზიდვენ სოფელში, დააბინავებენ და დაიჭუჭკამენ თავ-თავიანთს ოჯახებში, მაგრამ რეხელებს, თუ რომ გული რამეზედ არ დასწყდათ, არ შეიძლება და სიხარულს ხომ სიზმრადაც ვერ ნახვენ. თუ რომ ახალი ჯეჯილი ნორჩობაშივე რეხელებს ხშირმა წვიმებმა არ აუბალახა და საკლავ „დალიჯად" არ გადაუქცია. დალიჯა არის მათრობელა პური, რომლის ჭამითაც ადამიანი მთლად დამბლავდება, ცანცარასავით მთელი სხეულით ცანცარებს, გულის რევა და ფრიალი, თავის ტკივილი და თავბრუს ხვევა საშინელი აქვს ისე, რომ დალიჯა-ნაჭამ კაცს ისევ მკვდარი სჯობიან და ეს დაწყევლილი დალიჯაც ათ წელიწადში შეიძლება ერთხელ არ იყოს აქა, თორემ ყველა წლებშია, მაინც და მაინც არ გააჩაღებს რეხელების ჯეჯილებს სუსხიანი ცივი ამინდები და სეტყვა, თუ რომ ამათაც რეხელებს ვერა დააკლესრა ხშირი შემოდგომის წვიმები მაიც შიგ მიწაშივე დაულპობენ გაცელილს ყანებს და თუ რომ ღმერთმა იპრიანა და რეხელები ამა ზემორე ჩამოთვლილს ცის მოვლენილმა დაიფარა და გადაანარჩუნა, კალოობა მაინც დაასვამს ამათ დაღსა და დაუთუთქავს გულსა. გაძრიელდება თუ არა რეხაშია კალოობა და ჭირნახულის ლეწვა, სწორედ ამ დროს, თითქოს მოლარაჭებულიყო, ცაც შეიმოსება შავი ყორანის მსგავს ღრუბლითა: წვიმა იწყობს საცრის მსგავსად ცრასა და ცივს სიოს მოჰფენს მთელს რეხის არე-მარეს, მასთანაც ბურუსით იმოსება მთლად სოფელი, რეხელები ამ დროს ხან ცაში იყურებიან, ხან წინა და რომ შეატყობენ, რომ კალოში ჩაშლილი გასალეწად ჭინახული მთლად სველია და აღარ გაილეწება, აჰ, ღმერთო, რა შეგცოდეთ თქმით გამოვლენ კევრებიდამ და გამოუშვებენ კალოს საქონელსა, კევრებს კალოს გაღმა გადაათრევენ, ნიჩბებით, არნადებით და ცოცხებით, მოაგროვებენ და შეჰგვიან ზედ შუაგულს კალოზედა, ნახევრად ანუ მეტ-ნაკლებად ნალეწ ჭინახულსა. ელიან საცოდავი რეხელეები მზის, ცოტათი მაინც გამონათებას, იმასაც, როგორც იქნება, რამდენიმე დღის შემდგომ მოესწრობიან, საჩქაროდ შეგროვილს ჭინახულსა ისევ გაშლიან კალოებზედა და შეუდგებიან ლეწვასა. რის ტანჯვითა და წვალებითა ებრძვიან ცის მოვლენასა, მაგრამ ცასაც არ ებრალება წამებული რეხელები, წვიმას დრო გამოშვებით შეუცვლის მათ გამუდმებული თოვლითო, ყინვითა და საშინელი თოვლიანი ქარ-ბუქითა, ხანდისხან ისე სუფთად დაუგვის,—ამათ ეს შეუბრალებელი ქარ-ბუქი, მეტადრე კუდიანი ქარი, კალოებსა, რომ ნალეწიდამ ერთი ბზის ჩალაც არ დარჩება კალოებზედა და ხან-კი კალოებზედაც ნალეწარ ჭინახულსა. თოვლის მთას ზემოდამ დაადგამს და მთელს სოფელს თოვლის ქვეშ მოიქცევს. რეხელებს მაშინ კალოს და ჭინახულის, რომ ულპებათ მათ, არა სცხელათ, ისინი ნიჩბებით და არნადებით თავიანთ კარმიდამო, დერეფნებს და ბანებსა ხვეტავენ და თოვლს აშორებენ. საცალფეხო გზებს იკეთებენ მდინარე წყლამდის, რომ იმათ, შიმშილით სიკვდილს ხომ გზა არ აექცევა და წყლის უსმელობით მაინც არ დაიხოცნენ ისინიც და იმათი საქონელიცა. ჩემის აზრით, თუ რომ რეხელებმა იქონიეს სალეწი მანქანები, მაშინ, იმედია, ასცდებათ ამათ მომეტებული ზარალი და ტანჯვა. ჭინახულიც ჩქარა და მშრალად გაელეწებათ და კალოებშიაც აღარ ჩაულპებათ. დამპალ ჭინახულს კიდევ არა უჭირს-რა, რომ ისეც მათ შერჩეთ, მაგრამ უფრო ზიანზედ ზიანს აძლევენ: ქათამი, ბატი, ღორი, მძოვრი, საქონელი დმ სხ... რადგანაც უამინდობის გადამკიდე თვით პატრონები თავიანთ ჭინახულს ვერ მოუდგებიან კალოებზედ, ამათაც ნამუსი არა აქვთ: ზოგი ჰქექავს და სჭამს, ზოგი სტკეპნის და ღრუტნის, ზოგსაც გააქვს და გამოაქვს. სანაქებო რამ ხასიათისანი არიან ეს დალოცვილი რეხელები; მოსავალს თუ მოუსავლობას, სიმდიდრეს თუ სიღარიბეს სულ ბედზედ აგდებენ და ცოდვებს აბრალებენ თავიანთსას, ღმერთს-კი მადლობას სწირავენ, რომ მან სიკვდილით მაინც იმათი ოჯახი არ დააზარალა და, თუ ვინიცობაა ესეც მოუხდა ვისმეს ამათგანს, მაინც კიდევ ღმერთს მადლობას შესწირვენ და ღრმად გუ-

News“-ი: „უმჯობესი იქნებოდა, ისეთს გენერლებს, რომელთაც თავის უხეირობით განითქვეს სახელი სამხრეთ-აფრიკაში, შინ მაინც ჩაეწყვიტათ ხმა; იგინი ღმერთს უნდა ჰმადლიდნენ, რომ ინგლისში სცხოვრობენ და არა ისეთ სახელმწიფოში, სადაც სამხედრო კაცთა საქციელს ბევრად მეტის სასტიკობით ეპყრობიან. და თუ მაინცა და მაინც სურთ ამ ვაჟბატონებს ლაპარაკი—უკეთესი იქნებ მეტის მოხათრებით ილაპარაკონ.

დიაღ, მეტად უზრდელად მოექცა მეტუენი იმ ბურებს, რომელთა გენერალსაც სახლკარი აუოხრა, მაგრამ სამაგიეროდ თავისუფლება მიიღო ამავ რაინდის გენერლის განკარგულებით.

სხვა-და-სხვა წერილები

საშუალება მუცელას (ყვანის) წინააღმდეგ.

ხშირად სოფლებში მუცელა (ყვანა) მუსრს ავლებს ხალხს, დიდსა და პატარას. მუცელას წინააღმდეგ უებარი წამალი არის მოცვის მწიფე მარცვლები. მოცვი ის მცენარეა, რომლიდამაც ზემო იმერეთში აკეთებენ ეგრედ-წოდებულს „მოცვის ჩაის“, რომელიც რამდენიმე ათას ფუთობით გააქვთ რუსეთში.

აი, როგორ მზადდება მუცელას წამალი: ბოთლში უნდა ჩაჰყაროთ კარგად დამწიფებული მოცვის მარცვლები, მერე რამდენზედაც ბოთლს მოჰყრით (გაავსებთ) ამ მარცვლეულობით, იმდენზედვე დაასხამთ პურის არაყს, რომ მოცვის მარცვლები დაიმალოს. ასე გაკეთებული არაყი, რაც დიდი ხნის გაკეთებული იქნება, სჯობია; თუ ერთის ან ორის წლისა იქნება, ის უკეთესია. ვისაც მუცელა სჭირს, საკმარისია რამდენიმე დღეს დალიოს ნახევარი ღვინის ჭიქა მოცვის წვენიანი არაყი („ნალივკა“) და უეჭველია, მორჩება. ბავშვებს ნაკლები ზომა უნდა დაალევინოთ. სასარგებლოა აგრეთვე თვით მოცვის მწიფე მარცვლების ჭამა. ამისათვის საზამთროდ უნდა გაახმოთ მოცვის ნაყოფი და შეინახოთ, განსაკუთრებით ბავშვებისათვის, რომლებმაც, შეიძლება, მოცვის წვნიანი არაყი არც-კი დალიონ.

ეს საშუალება მასწავლა მღვდლის იოანნე ციცქიშვილის მეუღლე ნინო ლევანის ასულმა და ვსცადე კიდეც, როგორც მე ჩემს ბავშვებზედ, აგრეთვე ჩემს მრევლში და ერთი შემთხვევა არ ყოფილა, რომ ამ საშუალებას არ მოერჩინოს მუცლიანი ავადმყოფი. მოცვი ზემო ქართლში და ზემო-იმერეთში იზრდება. მეგრულად ამ მცენარეს ჰქვიან „წუი“.

ამ საშუალებაზედ გნეიპსაც აქვს მოხსენებული თავისს წიგნში „ჩემი წყლით მკურნალობა“.

კეთილმოწესე მღვდელი ქრისტეფორე ციცქიშვილი.

წერილები
რედაქციის მიმართ

I

სრულიად შემთხვევით გავიგე დღეს, *) რომ მეც გხლებივარ მოქცეული იმათ რიცხვში, რომელთაც კენჭი იყარეს კვირას, 6 ოკდომბერს, პირველ საარჩევნო ნაწილში. ვალად ვრაცხ გამოვაცხადო, რომ პირველმა არჩევანმა იმისთანა შთაბეჭდილება იქონია ჩემზედ, რომ მეორედ კენჭის ყრას ვრაცხდი ყოვლად მოუხერხებლად და სრულიად უადგილოდ. ამის გამო დიდად გამიკვირდა, რომ ბ-ნმა ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელს უნებია, ჩემ ნება დაურთველად, ჩემის ყუთის დადგმა, უბრალო ზრდილობა მოითხოვდა, ჯერ ჩემი თანხმობა ეკითხა, და მერე ისე მოვექციე კენჭის ყრის მსურველთა სიაში. დღევანდლამდე მე ტფილისში არ გახლდით და შემთხვევა არ მქონდა აქაური გაზეთები წამეკითხა, და თუნდ რომ აქაც, ქალაქშიც, გხლებოდით, ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელს უნდა სცოდნოდა, რომ ყველას არა აქვს შეძლება იქონიოს ის გაზეთები. რომელშიც იგი ჰბეჭდავს თავის განკარგულებას, და, მაშასადამე, ვალდებულია სხვაფრივ აცნობოს მათ, ვისაც იგი განკარგულება შეეხება.

საჭიროა მეტი თავის შეკავება და პატივისცემა ადამიანის პიროვნებისა, ღირსებისა.

ნ. ი. ალექსიევ-მესხიევი.

ტფილისი, 7 ოკდომბერს 1902 წ.

II

უგულითადესს მადლობას ვუცხადებთ ბ-ნ ლევან მამუკას-ძეს გორდელაძეს, რომელმაც კეთილინება და ლიხაურის სოფლის სასამართლოს შემოსწირა როსტოვიდგან ერთი მშვენიერი მარმარილოს ქვაზედ მოწყობილი საწერელი თავისი წყობილებით, ერთი დასაკიდი ლამპარი და ორი შანდალი მარმარილოს ქვისა, ღირებული სულ 30 მანეთად; ღმერთმა ჰქნას, რომ ამისთანა გულშემატკივარი პირი ბევრი აღმოსჩენოდეს ლიხაურის საზოგადოებას.

ლიხაურის სოფლის სასამართლოს საქმის მწარმოებელი ანტონ სიხარულიძე.

„ივერიის“ ფოსტა:

ბაღდათი. ს—ძეს. თქვენი წერილი არ იბეჭდება.
პ. უჩ—ლს. თქვენი ლექსები არ დაიბეჭდება.
გ. ხ—ლს. თქვენი ლექსები არ დაიბეჭდა.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

8 ოკდომბერი.

პეტერბურგი. „პალესტინის საზოგადოებამ“ დროებით შესწყვიტა მლოცავთათვის ბილეთების გასყიდვა.—7 ოკდომბერს, საღამოს 9 საათზე, ვარშავის რკინის გზის ჩქარი მატარებელი გადასცდა ლიანდაგს. მოკლულია კონდუქტორი იგნატიევი, დაჭრილია პასაჟირი შილინი, კონდუქტორი კუდრიავცევი, კაჩეგარი ვენცკოვიჩი და მაშინისტის თანაშემწე პიარაზინსკი, დანარჩენი პასაჟირები მოიყვანეს დღეს 12 საათზე და 40 წამზე პეტერბურგში.

ეკატერინოსლავი. საბჭომ სასანიტარო ღონისძიებათა მისაღებად გადასდო 90,000 მან. გარდაწყვეტილია სანიტარ-ექიმთა რიცხვს მოუმატონ, შემოიღონ ქალაქის სასანიტარო ეტლები და გასუფთავდეს ეზოები.

ვაშინგტონი. ამერიკის ელჩი ბოვენი დეპეშით იტყობინება: ბრძოლა ვიქტორიასთან დასრულდა; ბრძოლას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

ლონდონი. „Standard“-ს პეკინიდგან ატყობინებენ, რომ ინგლისის ჯავშნიანი გემები უნდა გაემგზავრნენ ხინკაუში. ეს განკარგულება გამოწვეულია ინგლისელ მისიონერების მოკვლის გამო ხუნანში.

ბელგრადი. ცნობას იმის შესახებ, რომ ვითომც ტახტის მემკვიდრედ დედოფლის ძმა უნდა დაინიშნოს, ოფიციალურად უარჰყოფენ.

სარატოვი. საგუბერნიო ერობამ დაარსა პირველი ქარხანა შინად მრეწველ-დაბალთათვის.

9 ოქტომბერი.

ბერლინი. Nord Deutsche Seitung იტყობინება, რომ დაინტერესებულ სახელმწიფოთა აზრით შანხაიდან ჯარების გამოყვანა ერთ დროს და ერთნაირად უნდა მოხდესო. თუ ვინიცობაა ერთ-ერთმა სახელმწიფომ ადგილი დაიჭირა, სხვა სახელმწიფოებსაც იგივე სიმართლე უნდა მიეცესო. გერმანიის მართებლობამ წინადადება მისცა ჩინეთსა, ვალდებული გახდეს არავის ნება არ მისცეს ანძეს ბასეინში სამხედრო თუ სხვა რაიმე უპირატესობისა. ჩინეთი ნებას დაჰყვა.

კიევი. მოვიდა დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა ნება დართო ჰყიდონ „Петер. газета“.

რიაზანი. საგუბერნიო თავად-აზნაურთა კრება დაადგინა პანსიონი გახსნას თავად-აზნაურთა შვილთათვის.

ტანჟერო. ფეცაში მოჰკლეს ინგლისელი მისიონერი. მკვლელი სულთანის ბრძანებით დახვრიტეს.

სოფია. „რეფორმა“ უარს ჰყოფს ოსმალურ ამბავს, ვითომც პოლკოვნიკი იანკოვი დაჭრილ იყოს. ოსმალთა ჯარი მონასტრის ვილაეტში ჩადიან საზერელ სიმხეცეს.

პეტერბურგის ბირჟა, 8 ოკდომბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,90
ბერლინში 100 მარკაში	46,00
პარიჟში 100 ფრანკში	$37,37^1/_2$
ლონდონში ჩეკები	94,105
ბერლინში ,,	46,25
პარიჟში ,,	—
ბირჟის დისკონტი	$4^1/_2$—$6^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა	$97^1/_8$ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	$99^1/_4$ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	$94^1/_2$
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	465 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	354 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	$287^3/_4$ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	$89^1/_4$
$4^1/_2$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	$89^3/_4$ გაყ.
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	91,00 წვ. გაყ.
აქციები ,, ,, ,,	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	178 წვ. გაყ.
ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

სასამართლოს შესახები ცნობანი.

1. მელქისედეკ და ნიკოლოზ ჩხეიძეებისა, ნესტორ ხიდირბეგიშვილისა და ნიკოლოზ ჩიკვაიძის დავა.
2. სტეფან ჯანჯღავას დავა ანტონ საჰინავასთან 79 მ. და 14 კაპეიკზედ.
3. ამიერ კავკასიის რკინის გზის მმართველობის და ლუკა თათეიშვილის დავა 32 მ. 50 კაპეიკზედ.
4. კონსტანტინე და დათო კალანდიათა.
5. პელაგია გოთუას დავა 36 მ. 60 კაპეიკზედ.
6. ძაღვან, სვილია, მელიტონ და კონსტანტინე კვარცელიათა, და თ-დთ ილიკო, პლატონ და სხ. დადიანთა და ლევან აფაქიძის დავა ღალაზედ.
7. გრიგოლ მეტრეველისა და ვარდან თურქიას დავა ანგარიშებზე.
8. სახაზინო მამულების მმართველობისა ს. ვაქირში მცხოვრების სვიმონ მაისურაძისა და ნიკოლოზ ყულიჯანოვის დავა.
9. ივანე ბაქრაძის დავა ეფროსინე მგალობლიშვილთან.
10. გლახო ვაფილიშვილის და თომა გოგნიძის დავა.
11. სოლომონ ფიცხელაურისა და ილიკო კაჩაურის დავა ვენახსა და 50 მანეთზედ.
12. ივანე გაჩეჩილაძისა და პავლე და რომან ჩინჩალაძეების დავა 80 მანეთზედ.
13. მიხეილ თოდუაძის და მიკიჩ ყარამიანცის დავა 42 მან.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი

რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბაქო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით)	3 ს.43 წ. დღ.	11 ს.49 წ.დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს.37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბათუმი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე)	10 ს.2 წ. დილ.	7 ს. 43 წ.დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ.დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე)	7 ს. 18 წ.დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან)	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბორჯომი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე)	9 ს. 57წ. დილ.	6 ს. 22 წ. დილ
სამგზავრო „ „	6 ს. 53 წ. საღ	2 ს. 28 წ. დღ

ქირავდება

იაფად 4 ოთახი ყოველგვარ მოწყობილობით თითქმის შუაგულ ქალაქში, ეგზარხოსის მოედანზედ, სახლი თავ. შერვაშიძისა, № 14.

ქუთაისში
ს. მ. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

(წ.)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, И. Алхазова	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н. Марра	3	„
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили	„	20
Неестественность „естественнаго“ метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе	„	10
Бальваръ и Іодасафъ, А. Хаханова	„	60
Георгій XII, послѣдній царь Грузіи, Н. Дубровина	1	»
Очерки по исторіи грузинской словесности, А. Хаханова в. III	3	„
Замѣтки о городскомъ самоуправленіи на кавказѣ Г. Туманова	„	60
მეცნიერებისათვის წამებულნი, სურათებით, თარგმანი ა. ნიკიტინისა	1	„
ველურობა და განათლება, თარგ. ს. ჭუდლისა	„	30
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა თარგმანი ა. ნატ. გიგაურისა	„	50
ბრძნული სიტყვები	„	10
წმიდა აბო ტფილელი	„	30
ლაზარილიო ტორმესელი, ესპანიური მოთხრობა, თარგმ. ზ. უმიკაშვილისა	„	10
ტფილისი, მ. ჯანაშვილისა	„	50
თამრიანი, პოემა ს. გუგუნავასი	„	50
ნამუნი ვაზით ვენახის მოშენებას ქვარიანისა	„	5
სურამის ციხე, დ. ჭონქაძისა	„	15
კონსტანტინე ბატონიშვილი, თ. ხუსკივაძისა	„	5

განცხადება

GRAND PRIX
PARIS 1900.

Т-во Высшей парфюмеріи
А. Ралле и К°
Духи
„Трефль“

კომპანია „გრამოფონი“.

ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი, სახლი ამიანცისა № 7.

[illegible]

მრავალი გრამოფონი გვაქვს ყოვლად-გაუმჯობესებული.

დიდ-ძალი მეცალის ფირფიცები სახელ-განთქმულ და ცნობილ მომღერალთა, როგორც მაგალ. რუსთა, ქართველთა, სომეხთა, თათართა, სპარსთა, ოსმალთა, პოლონელთა, ფრაგთა, ინგლისელთა, იტალიელთა, გერმანელთა, და სხვათა მომღერალთა.

ფირფიცების არჩევის დროს ვთხოვთ მიაქციონ ყურადღება ჩვენს საფაბრიკო დამღას: „მწერალი ანგელოზი“, ურომლისოდაც ფირფიტა ყალბი იქნება უსათუოდ.

კომპანიის საწყობთან განსაკუთრებული სახელოსნოა, რომელიც, თუ საჭიროა, გაჰმართავს და შეაკეთებს გრამოფონს.

კომპანია ბუღდავანომს კისრულობს, რომ გრამოფონი წესიერად იმუშავებს სამის წლის განმავლობაში.

მაღაზია თავის ხარჯით კისრულობს საქონლის შეხვევას, ყუთში მოთავსებას და გაგზავნას.

გაგზავნა რკინის გზის ყველა სადგურზედ (ზაფხულში გემითაც) კომპანიის ხარჯით შეიძლება.

ფოსტით გაგზავნის ხარჯსაც სანახევროდ კამპანია კისრულობს.

კვირაობით მაღაზია დაკეტილია, სხვა დღეებში-კი ღიაა დილის $8^1/_2$ **საათიდგან საღამოს** 9 **საათამდე.**

შეიძლება მოითხოვოთ დასურათებული კატალოგები.

ნაღდად მყიდველთ ახალი პრეისკურანტები ეგზავნებათ მოთხოვნილებისამებრ. (10—434—4)

ლიდგან ამოსთქვამენ ამას მხოლოდ: ეჰ, რაც ღმერთს უნდა იმას გვიცოცხლებს და წაგვართმევს, ჩვენ იმისი შვილები და გაჩენილნი ვართ და ღმერთმა უფრო ყველაზედ კარგად ადამიანის შვილის გარჩევა იცისო“. ამისთანებს კიდევ ბევრს რასმე იტყვიან ხოლმე. სწორედ ამ ჩემს მიერ ზემორე აღწერილი მიზეზებისა გამო რეხელები იმიტომაც მდიდარი თუ ღარიბი წელიწადი თორმეტი თვე ვალით და ვახჩით ყიდულობენ სხვა მოსავლიან მხარეებში ქინახულს და მით ჰკვებავენ თავიანთ ცოლ-შვილსა...

ბოსტნეულობას და მსხმოიარე ხილის ხეხილების გაშენებასა რეხელები არ მისდევენ, თუმცა-კი ამით უფრო ხეირს ნახვენ, ახირებულად იხეირებს და ყოველისფერი სამყოფად მოუვათ. მაგრამ იმ ანდაზასი არ იყოს—დო შეჭამანდისაგან შეშინებული მაწონს უბერავდაო, სწორედ რეხელებზედ არის ნათქვამი, რადგანაც რომ საკვებავი პური სამყოფად არ მოსდით, იმიტომაც სხვაგვარ მიწის მოსავალს ხელს არ ჰკიდებენ და არც ხილეულობას და იმათ ნერგებს აჩენენ და აშენებენ. არ უნდათ, რომ ისედაც გაბოროტებული სული და გული გაიბოროტონ კიდევ სხვა რამის მოუსავლელობითა. მხოლოდ-კია, ყველა მეკომური რეხელების ქალებ-კი კართოფილის თესვას მისდევენ მარტო და რომ ხელი იცოდნენ, ზღვა კართოფილი მოუვათ რეხელებს, შეიძლება ზოგმა იცოდეს კიდევაც, მაგრამ არ იჩენენ იმათ ფიქრით, იქნებ ესეც შემურდეს ცის მოვლენასა და მოსცდესო, დიდი ამაგი რაღად გავწიოთო. წალმა-უკუღმა თითო ბარის პირ დაკრულში ზედი-ზედ ჩაჰყრიან წვრილს კართოფილსა, მიაყრიან მიწასა, ეს არის და ესა. მოუვათ ხომ რა კარგი, არ მოუვათ და იმას იტყვიან მაინც, კართოფილით მუცელი არ გაგვიძღებოდაო, საქმე პურია და ისიც სადა აქვთ!

ვაჭრობასა და ალებმიცემობას რეხელები ალმაცერად უყურებენ. რეხელები ურმით ზიდვენ გუმბრის მაზრის სოფლებში სახერხ ხეებს, სცვლიან პურზე, ქერზე და მარილზე და მოაქვთ ხეში განაცვალი და მასთანაც, ვისაც ფული შეესწრობა, ყიდულობენ იქვე გუმბრში ბრინჯს. იქ მისვლა-მოსვლაში ანდომებენ ცხრა-ათს დღეს.

ვისაც ბეხრეკი კამეჩი, ძროხა ანუ ხარი ჰყავს, უყენიათ აპრილის გასვლამდის თივაზედ და საკლავად ასუქებენ. გაჩნდება თუ არა სოფელში საქონლის ჩარჩი, იაფად თუ ძვირად მიჰყიდიან გასუქებულს საქონელს. ამ გვარი ვაჭრობა რეხელებს ცოტა რამ ხეირს აძლევს, თუ რომ გასუქებული საქონელი საკუთრებაა და არა ნაყიდი. ეს ჩოდარ-ჩარჩები სხვა სოფლების მცხოვრებნი არიან. მორეკილს ბებერ საქონელს რეხელებს ურიგებენ ნისიად. თუ ჩარჩ-ჩოდარსა ერთ სულ საქონელში მიუცია სყიდვის დროს ერთი თუმანი, რეხელებმა უნდა მისცენ თითოში სამი და მეტი თუმანი. გასუქებულს საქონელში იღებენ ოთხს ანუ ხუთს თუმანს თითოში, რეხაში თივა არ იყიდება და თუ საქონელი არ გაასუქეს, ისედაც დამპალი თივა მთლად ულპებათ და ფუჭად უვლით. საქონელს ყიდულობენ ქართლშიაც უსანეთობას, ასუქებენ და ჰყიდიან.

დღე არ გავა ისე, რომ რეხაში არ დაწანწალებდნენ გაიძვერა ბერძენ-სომეხ ჩარჩები. ეს ვაჟბატონები რეხელებს ნახევარ ფასად ართმევენ ცხვარს—თოხლს.

ცხვრის და საქონლის მოვლა-მოშენებას რეხელები ძალიან მისდევენ, მატყლსა, რძესა, ყველს, ერბო-კარაქსა, ქათამ-ბატსა და კვერცხსა; თითქმის სულის მეტს რეხელები ყველაფერს ჰყიდიან ჩარჩებზედა, რომ რამე ნაირად ფული შეაგროვონ და მისაცემ ადგილებში დაურიგონ, თვითონ-კი ცარიელი პურით და ღიმ-ღანძილით სულს ირთმევენ. შეიძლება მხოლოდ ხუთმა მეკომურმა წლის განმავლობაში ერთხელ გაიღოს ხორცის გემო მთელს რეხაში, დანარჩენები-კი ზედ აღდგომა დღეს პირს იხსნილებენ ერბოიანი ფაფითა და კართოფილითა.

რეხელი ქართველი.

(შემდეგი იქნება)

---

*) ეს წერილი გუშინწინ გვიან მივიღეთ და იმტომ ვერ დაიბეჭდა გუშინდელს ნომერში.

რედ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 Октября 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства, რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.